№ 102 მაისი 18, ოთხშაბათი 1888 მაისი 18, ოთხშაბათი № 102


გაზეთი ღირს

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 70 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ახალ-ზუბალოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ-ნ ხიდეშელის სავაზეოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888


ტფილისის გუბერნიის კეთილშობილთა წინამძღოლი აუწყებს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობას, რომ თავად-აზნაურობის კრება დაიწყება ოცს ამა მაისსა, პარასკევს, დილის ცხრა საათზედ, ტფილისის სობრანიის სადგურში, თ. ბაგრატიონ-მუხრანსკის სახლებში. (3—2)

ტფილისის თეატრი

დღეს, 18 მაისს,

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

პირველად:

## ციმბირელი

კომედია 4 მოქმედ. ა. ცაგარლისა.

მოთამაშენნი: ქქ. საავაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ლეონიძისა, ნერქეზიშვილისა, თამაროვისა; ბბ. კ. ყიფიანი, აბაშიძე, თვითონ ავტორი პიესისა, კავთელი, ივ. ცაგარელი, მაქსიმიძე და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე.

ანტრაქტებში გაჩაღებული იქნება ბაღი, სადაც დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

რადგან ამ თეატრში გალლერეია მცირეა, ადგილების ფასი სკამების უკანასკნელს რიგებში გაიაფებული იქნება.

ორშაბათს, 23 მაისს,

ბ-ნ ალნიაშვილის ქართული ხორო ქართულის დრამატიულის დასის არტისტების დახმარებით გაჰმართავს პირველად პირველ ქართულ ფეერიას:

## ყარამანი

გადაკეთებული ხალხურის ყარამანიანიდგან სამს მოქმედებად და თერთმეტ სურათად.

სურათი 1. ყაფის დევთაგან ყარამანის მიწაზე ჩამოშვება; ექვს ფეხოვანის და ალმასის რქიანი რაშის გემოვარდნა.

სურათი 2. უშანგ შაჰისა და რაჰ ნდ ინდოეთის მეფის ბრძოლა; ყარამანისა და სარვიხურამანის ერთად შეყრა და გაარშიყება.

სურათი 3. ყარამანისა და სარვიხურამანის შეუღლება.

სურათი 4. ყარამანისაგან ყარუნ ხელმწიფის ჯადოთ დარღვევა და შამბასარ დევის მოკვლა.

სურათი 5. ბრძოლა ბალიირანის მეფისა, შაჰპალი ფერიისაა, აქვალ დევის ლაშქართან.

სურათი 6. შველა ყარამანისაგან ზორაბ ხელმწიფის შვილისა და ანყაფუზ დევის დამორჩილება.

სურათი 7. მისვლა ყამარანისა თეთრის დევის სასახლეში და თეთრის დევის მოკვლა.

სურათი 8. ბრძოლა ყარამანისა ზღვათა მეფესთან და ყარამალუხ დედოფლის განთავისუფლება.

სურათი 9. ჯადოთაგან უშანგ-შაჰის მოჯადოვება.

სურ. 10. ბრძოლა უშანგ-შაჰისა ოჰყალი ჯადოსთან და 30 მოწინააღმდეგე მეფეებთან; ყარამანის მოშველება.

სურ. 11. უშანგ-შაჰის მიცვალება და ანდერძი.

ამ ფეერიისათვის განგებ დამზადებულია ახალი ტანისამოსები, ზოგიერთი ახალი დეკორაციები და ყოველის სურათისათვის ახალი მუსიკა ბ-ნ ბალანჩივაძისა.

ქართულს ხოროს ექნება 12 სხვა-და-სხვა სასიმღერო ნომერი.

ორკესტრი დაუკრავს ბ-ნის ბალანჩივაძის პოპურრს და სრულიად ახალს „ფანტაზიას“ მისსავე.

მონაწილეობას მიიღებს 180 კაცი დადგმა ფეერისა დაჯდება 1,000 მან. (4—2)

---

ტფილისი, 17 მაისი

რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი ახალი თაობა, ვიკითხეთ ჩვენ წარსულის წერილის დასასრულში. აი, ის რთული საკითხავი, რომლის გამოცნობა მეტად საჭირო და საინტერესოა. ჩვენ აქ ვერ ვიკისრებთ ამ საკითხავის გადაწყვეტას და მხოლოდ გაკვრით აღვნიშნავთ იმ საშუალებას, რომლითაც, ვგონებთ, შესაძლო იქნება ცოტათი მაინც ნათელი მოვფინოთ საგულისხმო საგანს და ასე თუ ისე გადავსწყვიტოთ დადგენილი საკითხავი. წარსულსავე წერილში მოხსენებული იყო, რომ დღევანდელს თაობას, რომელიც სამწერლო თუ საზოგადო სარბიელზე ვარჯიშობს და მოქმედობს, ჰყავდა კარგად გაწვრთვნილი და მომზადებული თაობა, თვალ წინა ჰქონდა და აქვს გაშლილი მდიდარი რუსული მწერლობა და ევროპიის მწერლობა-მეცნიერება, გზა თავისუფალი ჰქონდა პეტერბურგისაკენ, პარიჟისა და ბერლინისაკენ, მაგრამ აქედგან არა გამოდნარა, რადგანაც, როგორც ბ-ნი ნ. გ—ლი ბრძანებს, იგი ახალი თაობა უაზრო და უსაგნოა. ბ-ნ ნ. გ—ლთან ერთად ჩვენ აღვნიშნეთ ის ორი უმთავრესი ძალა,—სახელდობრ კარგად მომზადებული, გრძნობა-გონება განწმენდილი და გაფაქიზებული წინა თაობა და სხვა-და-სხვა ერთა მდიდარი მწერლობა-მეცნიერება, რომელიც ჰქმნის ახალს თაობას. ეს ორი ძალა ხომ მართლა ისეთია, როგორადაც იმათ გვიხატავს ბ-ნი ნ. გ—ლი. მართლადაც, განა ვისმე ნება და საბუთი აქვს თერგდალეულების საზოგადო და სამწერლო მნიშვნელობა და უცხო მწერლობათა სიმდიდრე უარჰყოს, ან შეამციროს? დიაღ, ეს ორი ძალა მეტად შესამჩნევად მოქმედებს ყოველს ახალს თაობაზე, მაგრამ, როგორც ავტორის სიტყვებიდგანა სჩანს, ჩვენის ახალის თაობის სულისა და ხასიათის ჯიუტობას-კი ვერ შეემკლავა.

ახლა ნება გვაქვს ვიკითხოთ, რა იყო იმის მიზეზი, რომ ამ ორმა ძალამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოისხა? განა შესაძლო არ არის ვიფიქროთ, რომ ჩვენის ახალის თაობის ვითარებაში კიდევ სხვა-და-სხვა ძალა მოქმედებს? თუ ამ გვარი ძალა არა ყოფილა, მაშინ საბუთი მოგვეცემა ვიფიქროთ, რომ ჩვენ დედის მუცლიდგან დაგვყოლია „გულ-ქვაობა, გულ გრილობა, უაზრობა, უსაგნობა“, ერთის სიტყვით, ყველა ის სენი, რომელიც ბ-ნს ნ. გ—ლს თავის წერილში აღუნიშნავს. მაგრამ ეს საბუთი ხომ ტყუილი საბუთი იქნებოდა, რადგანაც შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ მთელი თაობა ბუნებიდგანვე უნიჭო, გულქვა და გულ-გრილი იყოს; რომ მომაკვდინებელი სენი ბუნებიდგანვე სისხლსა და ხორცში შეგვხიზნებოდეს. ჩვენის აზრით, მთელი თაობა შუათანა ნიჭისა, ჭკუისა და ხასიათისა მაინც უნდა იყოს, რადგანაც წარმოსადგენი არ არის, რომ სულსა და ხორცში დაბადებიდგანვე დაგვბუდებოდეს ყოველ გვარი მძიმე სენი.

მაშასადამე, როცა ჩვენს ახალს თაობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა მივიღოთ არა ერთი ან ორი შემომქმედი ძალა, არამედ რამდენიმე, თუ გვინდა, რომ უტყუარი განაჩენი დავსდოთ და შევიგნოთ საკუთარი ვითარება. უნდა აღმოვაჩინოთ ყველა ის ძალა, რომელიც ავად თუ კარგად მოქმედებდა ჩვენს ახალს თაობაზე, ავწონ-დავწონოთ და გავზომოთ თვითოეულის სიღრმე და სიგანე და მხოლოდ მაშინ შევიტყობთ, თუ რამ დასეტყვა და დანაცრა ჩვენი ახალი თაობა და ან ავა ვავა და ზეციური მადლი შთაბერა სულსა და გულში. მაშინ იმასაც შევიტყობთ, თუ რა ძალა რა ზომისაა და რა მონაწილეობა მიუღია ახალის თაობის აღზრდასა და გაწვრთვნაში.

როცა, მაგალითად, ახალს თაობაზე ვლაპარაკობთ, განა მარტო ის ორი ძალა—წინანდელი თაობა და უცხო მწერლობა უნდა ვიქონიოთ მხედველობაში? არა, ეს ყოვლად შეუძლებელია, რადგანაც ცხოვრებაში სხვა მრავალი ძალა მოქმედობს, და დროზე არის დამოკიდებული ერთისა ან მეორის ზედმოქმედების სიღრმე და სიგანე. ეს სხვა-და-სხვა ძალა ზოგჯერ თანაბარად მოქმედებენ და ერთი მეორეს ხელს უწყობს, ხან ერთი მეორეს ეწინააღმდეგება და გზაზედ ეღობება, და აი სად არის მიზეზი ცხოვრების მოვლენათა რთულობისა და მრავალ ნაირობისა. ავიღოთ, მაგალითად, რომელიმე კერძო ადამიანი, ან კრებული ადამიანთა, საქმე, ჩავუკვირდეთ თვითოეულის ვითარებას და დავრწმუნდებით, რომ იმათს შექმნაში მოქმედობს მთელი საშინაო და საზოგადო ვითარება. იგივე იაქმის ჩვენს ახალს თაობაზე, რომლის ავი და კარგი დამოკიდებულია რამდენსამე ძალათა კრებულზე და ცხოვრების სხვა-და-სხვა მიმდინარეობაზე. აი, ჩვენის აზრით, ის გზა, რომელიც გაგვიადვილებს ჩვენის ახალის თაობის ვითარების და ავისა და კარგის გამორკვევას; მხოლოდ ამ გზით შევიძლიან შევიგნოთ ზოგი რამ, რაიცა ბ-ნს ნ. გ—ლის სრულიად სამართლიანად შეუნიშნავს ჩვენს ახალს თაობაში. ჩვენ აქ არ შევუდგებით ამ ორს წერილში დადგენილის საკითხავის ვრცლად გამორკვევას; მხოლოდ ერთს გარემოებას ჩავუდგებით კვალში, სახელდობრ იმას, თუ რა მონაწილეობა აქვს ჩვენს ძველს თაობას ახალის თაობის შექმნასა და ვითარებაში და დღევანდელის მწერლობის ავ-კარგიანობაში. მეტის-მეტად საინტერესოა გამოვარკვიოთ, თუ როგორ მოქმედობდა ძველი თაობა ახალზე და როგორ დაეტყო ეს ზედ-მოქმედება. ამისათვის ჩვენ ისევ ბ-ნ გ—ლის მივყვეთ და განვიხილოთ ზოგიერთი იმისი აზრი და შეხედულობა.

---

## ახალი ამბავი

*** გუშინ, 17-ს მაისს, საადგილ-მამულო ბანკის კრებას მესამე სხდომა ჰქონდა. კრებამ დაამტკიცა ხარჯთა აღრიცხვა მომავალის წლისათვის, ხოლო იმ პირობით-კი, რომ იმ სამის ათას მანეთიდგან, რომელიც ზედამხედველს კომიტეტს უნდა მოხმარდეს, მთლად დახარჯული არ იქმნება, ბანკმა დარჩენილი ფული არავითარს საჭიროებას არ უნდა მოახმაროს. შემდეგ კრებამ მოისმინა მოხსენება ბანკის სარგებლის განაწილების თაობაზე. კრებამ დაადგინა, რომ ის ფული, რომელიც წესდების ძალით უნდა მოიხმარონ საზოგადო საჭიროებისათვის, მთლად მოხმარდეს სათავად-აზნაურო სკოლას. რამდენმამე წევრმა მოახსენა კრებას, რომ აუცილებლად საჭიროა შემწეობა აღმოვუჩინოთ სამეურნეო გაზეთის „მეურნეს“ რედაქციას, რომელსაც სურვილი აქვს გაავრცელოს ხალხში სამეურნეო ცოდნაო. კრებამ შეიწყნარა ეს თხოვნაცა და დაუნიშნა „მეურნეს“ რედაქციას წელიწადში ექვსასი მანეთი. ეს ფული რედაქციას უნდა ეძლეოდეს ამ თვიდგან ბანკის ხარჯის ფულიდგან; თუ ხარჯის ფული ყველა საჭიროებას არ აუვიდა, მაშინ რედაქციას შემწეობა უნდა ეძლეოდეს ბანკის შემოსავლიდგან, თუ შემოსავალიც არ ექმნება ბანკსა, მაშინ რედაქცია უნდა დააკმაყოფილონ ექსტრა-ორდინარის თანხიდგან. კრებამ დაუნიშნა შემწეობა თელავის დედათა სასწავლებელს 1,000 მანეთი, ბ-ნის წინამძღვარიშვილის სამეურნეო სკოლას—1,000 მან. და ქართულს დრამატიულს საზოგადოებას 1,000 მანეთი.

*** გუშინ-წინ, 16 მაისს, დილაადრიან, ცისკრების დარეკის დროს, შეამჩნიეს ტფილელებმა, რომ მტკვარი საშინლად ადიდებულიყო. ამისი მიზეზი, როგორც ამბობენ ზემოდამ ჩამოსულები, ავდრები უნდა იყოს. ზემოთ ისეთივე გამუდმებული ავდრები ყოფილა, როგორც აქ იყო ამ მაისის დამდეგს. ადიდებულმა მტკვარმა სამი წისქვილი მოიტაცა რიყეზე. შიგ ექვსი კაცი ყოფილიყო და ეს ექვსი კაცი წისქვილებთან ერთად წაიღო წყალმა. ამას გარდა სატივოდამ მოუგლეჯია მტკვარს თითქმის ასი ტივი, თითო ოც-ოც ხიანი. მათ შორის ოც თუმნიან ტივზედ ნაკლები ერთიც არ იქნებოდაო. ამას გარდა რიყეზე წყალი გადმოვარდნილა ნაპირიდამ და გაუვსია ქვედა სართულები მალაკნების სახლებისა. თვით რიყის დიდი ქუჩა გავსილა წყლით და ცხენის რკინის გზის ვაგონები წყალში დასრიალებდნენო. რიყის მცხოვრებნი ნავებით გადმოჰყავდათ მშრალს ქუჩებზეო. ავლაბრის ხიდთან ადიდებულს მტკვარს ისეა უწევია მაღლა, რომ ერთი საქენი აღარ უკლდა ხიდამდეო. ხალხი სცდილობდა დაეხედნა ამ ხიდიდამ მტკვრისათვის, მაგრამ პოლიციელები ნებას არ აძლევდნენ და ხიდზე არავის არ აჩერებდნენ. მტკვრის ადიდებასვე უნდა მიეწეროს, რომ მუხრანიანთ ხიდთან გამართულის ბორნის ჯაჭვი გაწყდა და თვით ბორანიც წყალმა მოიტაცა. მაინც უჩივოდნენ ამ ბორანს: თითო საათს გვაჩერებენ ბორანთან და ვიდრე ხალხით არ აივსება, სინამ არ დასძრავს ხოლმე პატრონი ბორანსაო; ახლა-კი დასძრა იმისი ბორანი მტკვარმაო.

ერთის სიტყვით, რაც წარსულის ორშაბათის ნიაღვრებმა დააკლო ჩვენს ქალაქს, ის ამ ორშაბათის, 16 მაისის, წვიმებმა შეუსრულა. წყალი რამაზოვის სარდაფში შევარდა, რუმბები მოიტივტივა და დიდი ზარალი მისცა. მოგლეჯილი წისქვილები ავლაბრის ხიდამდე მთლად ჩაიტანა, იქ-კი მოსდო ხიდის გარდიგარდმო რკინებს, მთლად დაამსხვრია, იქვე მორევში ჩააყურყუმელავა და მორევს რომ გაალილა, მაშინ ამოყარა. ამბობენ, წისქვილში ორი კაცი დამრჩვალაო. წყალმა ორთაჭალის ფიცრის ხიდი მოგლიჯა, ბაღებში ფანჩატურები და ღობეები დაგლიჯა. ხალხი ვინც ხიდ-გაღმა ბაღებში დარჩა, სახლებისა და დუქნების ბანებზე და ხიენებზე ავიდა. წყალმა საღამომდის თითქმის $1^1/_2$ არშინზე იკლო; მირზოევის კუნძულიც თითქმის ნახევარი მოუგლეჯია.

*** ცრუ მორწმუნოებით, თუ სხვა რამ მიზეზით ჩვენის ქალაქის მკვიდრნი ძალიან უჩივიან მილის წყალს და ყველა ავადმყოფობას ამ წყალს აბრალებენ. ქოთნები გამოიყვანეს და მტკვრის წყალი-კი აგვაკვეთინესო. ამ ხალხს არა სჯერა, რომ მილის წყალში ნახევარი ისევ დაწმენდილი მტკვრის წყალია და ავრცელებენ ხმას, რომ დიდ-კაცობა მაინც ისევ მტკვრის წყალსა სვამს და ჩვენ-კი ძალა-უნებურად მილის წყალს გვასმევენ; მერე ოქროს ფასადაც აფასებენო. ისეთი კაცები დაუყენებიათ მილებთან, რომ, თუნდა ირჩობოდეთ, მაინც ერთს ყლუპს არ დაგალევინებენ უფულოდაო. იუნკრის სასწავლებელთან სწორედ ასე იქცევა ყარაულიო.

*** ბათუმი: პარასკევს ღამეს, 13-ს მაისს, მოხდა ერთი შემაძრწუნებელი ამბავი: ერთმა სამსახურიდგან გადაყენებულმა პოლიციის მოხელემ ჯაშიმ ხანჯლით დაჰკლა თავისი მოხუცი ცოლი; პირველად დიდი სა-

ტანჯველი მიაყენა საცოდავს ქალს, მერე დაუჭრა ძუძუები, შემდეგ გაუჭრა მუცელი და რამდენჯერმე დაუტრიალა შიგ ხანჯალი; ტანი და პირი-სახე სულ დაკუწული ჰქონდა საბრალო ქალსა, ასე რომ მაშინვე განუტევა სული. როდესაც მორჩა საქმეს, ჯაში გამოვარდა გარეთ და შეატყობინა მეზობლებს—ცოლი მოვკალიო; შემდეგ პოლიციასაც თვითონვე აცნობა. ჯაში მაშინვე დააპატიმრეს და საქმე გადასცეს გამომძიებელს.

*** იქიდამვე: 15 მაისისათვის ქალაქმა მოამზადა ჩირაღდნები და შუშხუნები ხელმწიფე იმპერატორისა და იმპერატრიცის დაგვირგვინების დღესასწაულის გარდასახდელად. მაგრამ იმ დღეს საშინელი დიდი წვიმა მოვიდა და ქალაქის შრომა უქმი გამოდგა.

*** 16 მაისს, მე-8 ნაწილში, მტკვარი მოვარდა და მოიტაცა სამი წისქვილი მალაკანის გერასიმე ვოდოლიანოვისა, პეტრე იგნატიევისა და სომხის არტემა თეიმურაზოვისა (იგივე პაპოვი). იზარალა თითოეულმა $6\frac{1}{2}$ ათასი მანათი, სულ 20 ათასი მანათი. წყალმა დაიჭირა რიყე, დოსიმენოვის მეიდანი და სახლები. უბედურობა არა მომხდარა-რა და კაცი არ დაურჩვია. ბაღები და ბოსტნები ორთაჭალასა და ნავთლუღში წაღლეკა. ზარალი ჯერ არ მოუყვანიათ ცნობაში.

*** მე-2 ნაწილში იპოვეს ერთის თვის მიგდებული ყმაწვილი და გაჰგზავნეს საბებიო ინსტიტუტში. გამოძიება სწარმოებს.

*** 16 მაისს, მე-7 ნაწილში, სოფელ ვაქირის გლეხ-კაცი, სიღნაღის მაზრისა, იაგორ იოსების ძე მაისურაძე ტივის ხეებს იჭერდა მტკვარში, გაუფრთხილებლობით ჩავარდა შიგ და დაირჩო. გვამი ვერ იპოვეს.

*** 17 მაისს მე-7 ნაწილში ქვრივმა ტფილისის მოქალაქისამ, თინათინ სვიმონის ასულმა ახნაზაროვმა, გამოიჭრა ყელი დანით და გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

*** 16 მაისს, მე-6 ნაწილში, მტკვარმა წაიღო ორთაჭალის ცალ-ხიდა. ორთაჭალის ბაღებსა და ქალაქს შუა შესწყდა მისვლა-მოსვლა.

## კრება

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის წევრთა.

(14 მაისს)

შაბათს, 14 მაისს, ბანკის თეატრის დარბაზში შეიყარა ბანკის საზოგადო კრება. შუა-დღე მოახლოვებული იყო, როცა თავ-მჯდომარემ ზედამხედველის კომიტეტისამ, რომელიც ამასთანავე საზოგადო კრების თავ-მჯდომარეც არის, გამოაცხადა, რომ, რადგანაც კანონიერი რიცხვი წევრთა-დამფუძნებელთა შეიყარაო, ამისათვის კრებას ნება აქვს შეუდგეს თავისს საქმესაო.

ყველაზედ უწინარეს წაიკითხეს ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1887 წლის განმაელობაში. წაკითხვის შემდეგ თავ-მჯდომარემ გამოაცხადა: ამტკიცებთ ამ ანგარიშს, თუ ვისმე გნებავთ რაიმე სთქვათო. ცოტა ხანს სრული დუმილი ჩამოვარდა. მერე წამოდგა თ. დ. ავალიშვილი, რომელიც წევრია ზედამხედველის კომიტეტისა და კომიტეტის კრებულში იჯდა, და მოახსენა კრებას, რომ, თუმცა ჩემი პასუხი დაგვიანებულია, მაგრამ მოხსენება გამგეობისა ამ ანგარიშის თაობაზედ, სულ ორი-სამი დღე არ არის, რაც დაიბეჭდა და ამიტომაც დრო არა მქონდა ანგარიში გამესინჯაო. მარტო ეხლა ხანს გავსინჯე და ვამბობ, რომ მე თანახმა არა ვარ ამ ანგარიშისა, რადგანაც „возвратный расходъ"-ებში მოხსენებულია ის ფულიც, რომელიც ბანკის თეატრისა და ქარვასლის ასაშენებლად და გადასაკეთებლად გამგეობას დაუხარჯავსო.

ამაზედ გამგეობამ უპასუხა, რომ ეგ საყვედური უსაფუძვლოაო. თუმცა, მართალია, მოხსენება გამგეობისა ორი-სამი დღეა, რაც დაიბეჭდა, მაგრამ ეს მოხსენება, ხელით ნაწერი, უკვე წარდგენილი იყო ზედამხედველ კომიტეტში და 3 მაისს იმავე კომიტეტში, თ. დ. ავალიშვილის თანდასწრებით, წაკითხული და გარჩეული. გარდა ამისა თეატრის შენობასა და ქარვასლის შეკეთებაზედ დახარჯული ფული შარშან მაისიდამვე დღევანდლამდე ყოველ თვეე ეგ ფული «возвратный расходъ»-ებში იყო ნაჩვენები ბალანსში. ამიტომაც თ. ავალიშვილს გამგეობისათვის-კი არ უნდა დაებრალებინა, დრო არ იყო გამესინჯაო, არამედ თავის თავისთვის, მით უფრო, რომ თითონ წევრია ზედამხედველის კომიტეტისა და შარშანდელ მაისიდამ დღემდე ორჯელ რევიზიაშიაც ყოფილა, შარშან მკათათვეში და წლეულს—აპრილში.

„возвратный расходъ"-ების შესახებ თ. ავალიშვილმა სთქვა, რომ გამგეობას საიდამ ჰგონია, რომ ეს შენობაზედ დახარჯული ფული უკან უნდა მობრუნდეს? ვითომ მოგებიდამაო, გვეუბნებიან. მოგება ხომ იმისთანა რამ არის, რომ ან იქნება, ან არა, და განა ამისთანა სათუო საგანზედ შეიძლება კაცმა ანგარიში დააფუძნოსო?

ამაზედ გამგეობამ უპასუხა: მაშ თუ ეგრეა, ის ფულებიც ანგარიშში აღარ უნდა ჩავარდეს, რომელიც ჯერ არ შემოსულა მსესხებელთაგან და იმედია-კი, რომ შემოვა, მაგალითებრ: ცეცხლის დაზღვევის ფულები, ვადაზედ შემოსატანი სარგებელი და თავნი და სხვანი, იმავ რიგშივე მოხსენებულნი შემოსასვლელნი, სადაც ეგ «возвратный расходъ»-ი სწერია.

ამაზედ თ. ავალიშვილმა სთქვა: ყველა რაც სხვა შემოსასვლელია, უსათუოდ შემოვა, და ამაზედ ეჭვი არ უნდა ვიქონიოთ იმ დრომდე, ვიდრე საქმით არ გამოჩნდება, რომ იმედი აღარ არის და არ შემოვაო.

გამგეობამ უპასუხა: თუ ყველა ეგ შემოსავალი უნდა ვიგულისხმოთ, რომ შემოვა, მაშ უსათუოდ მოგებაც იქნება, იმიტომ-რომ მოგება მაგ შემოსასვლელიდამ შესდგება. თ. ავალიშვილის სიტყვით გამოდის, რომ ყველა შემოსავალი ბანკისა საიმედო არის და მოგება-კი, რომელიც ამ შემოსავალს მოაქვს, ის-კი საიმედო არ უნდა იყოსო.

იმ მხარეზედაო—სთქვა შემდეგ თ. ავალიშვილმა,—სადაც ბალანსში „возвратный расходъ"-ებია ნაჩვენები, იმ მხარეს მარტო ქონება უნდა იყოს ნაჩვენები და არა დახარჯული ფული. არსად არ გაგონილა, რომ სადმე დახარჯული ფული ბალანსში ესე ეჩვენებინოთო.

გამგეობამ მიუგო: ჯერ ესა, რომ თვითონ თ. ავალიშვილი 8 წელიწადი ბანკის გამგეობაში იყო და სწორედ იმისთანა ბალანსებზე აწერდა ხელს, რომელშიაც დახარჯული ფული სწორედ ასე იყო ხოლმე ნაჩვენები. შესაძლოა მას აქეთ თ. ავალიშვილს ამ საგანზე აზრი შეეცვალოდეს, მაგრამ აი თუნდა მაგალითად ტულისა და პეტერბურგის ბანკის 1887 წლის ანგარიში ავილოთ. აქ 360 ათასი მანათი, დახარჯული ამისთანა საქმეზედ, ესე იგი ბანკის შენობებზედ, სწორედ იმ ადგილს არის ნაჩვენები ბალანსში, სადაც ჩვენს ბალანსშიაცაო.

ეგ რა ვუყოთო,—სთქვა პასუხად თ. ავალიშვილმა: ტულისა და პეტერბურგის ბანკში ბევრი სხვა ბოროტ-მოქმედებაა და რა მაგალითია ჩვენთვისაო.

ამაზედ უპასუხეს: თ. ავალიშვილისაგან შეწამებული ბანკი პეტერბურგშია, იქავ კრედიტის კანცელარიის თვალ-წინ და, თუ შენობაზედ დახარჯულის ფულის უადგილო ადგილას ჩვენება ბოროტ-მოქმედებაა, ნუ თუ არ შენიშნავდნენ! თუ კრედიტის კანცელარიამ ვერ შენიშნა, იმ ბანკსა, როგორც ჩვენსას, თავისი წევრნი ჰყავს, თავისი საზოგადო კრება, და რატომ იმათ მაინც არ შენიშნეს? ვსთქვათ კიდეც, რომ უადგილო-ადგილას არის ჩაწერილი ეგ შენობაზედ დახარჯული ფული. მაშ სად უნდა ჩაეწერა ჩვენს გამგეობას, თუ არ იქ, სადაც ეხლა სწერია ბალანსში.

ამაზედ თ. ავალიშვილმა სთქვა: ან ძირის ფულიდამ უნდა გამოაკლოთ, გამორიცხოთ ეგ ფული, ან უნდა ისესხოთ და ეგ შენობა გირაოთ მისცეთო.

გამგეობამ უპასუხა: ძირის ფულიდამ რად უნდა გამოვრიცხოთ, რომ ჯერ სხვა ფულები გვაქვს, საიდამაც ეგ ხარჯი გავიღეთ. ან რა ფინანსიური მოსაზრებაა, რომ თქვენი ფული ხელ-უხლებლად გქონდეთ შენახული და სახარჯოდ სხვისაგან ისესხოთ და იმაში სარგებელი და მოგება სხვას აძლიოთო.

ამაზედ პატარა ცხარედ შესძახა თ. დ. ავალიშვილმა გამგეობას: სადა გაქვსთ თქვენ ფული? ეგ რაც დაჰხარჯეთ, სხვის ფულია და არა თქვენი. აბა თუ თქვენია, ხვალ რომ კარზე მოგადგნენ და რასაც ბანკი მისაცემს არის, მოგთხოვონ, საიდამ მისცემთ? თქვენ ფული არა გაქვსთ და შეცდომაში შეგყავთ კრებაო.

გამგეობამ ამის პასუხად სთქვა: რაც ამ ბალანსშია მოხსენებული, ხომ შეამოწმა ზედამხედველმა კომიტეტმა, მათ შორის თ. დ. ავალიშვილმაც, და ყველა ქონება ბანკისა, რაც აქ ნაჩვენებია, მართალი აღმოჩნდა. მაშ ეხლა ჩოთქის საქმე-ღაა. გამგეობამ სთხოვა თ. ავალიშვილს, აბა მაშ აიღეთ ჩოთქი და ჩაგდეთ, და მაშინ აღმოჩნდება, გვაქვს თუ არა ფულიო.

— არ ავიღებ ჩოთქს ხელში, არ მინდა!—სთქვა დ. ავალიშვილმა.

— „არ მინდასთან" ჩვენ საქმე არა გვაქვსო,—უპასუხა გამგეობამ.

რასაკვირველია, ყოველივე, რაც ზევითა ვსთქვით, მოკლედა ვსთქვით და ვეცდილობდით მარტო საუბარის აზრი მოკლედ გამოგვერკვია. იქ არც სიტყვა-პასუხი იყო ასე ჩამორთმევით ერთმანეთისაგან; ვინც-კი ლაპარაკობდა, გაბმით და განუწყვეტლივ გამოსთქვა თავისი აზრი. და თუ ჩვენ ასე სიტყვა-პასუხის ჩამორთმევით ავსწერეთ, ეგ იმიტომ-რომ მკითხველისათვის შესაძლო იყოს მოკამათეთა აზრი ერთმანეთს უფრო ადვილად დაუპირისპიროს.

ამ საუბარს შემდეგ მაინც ამ საგანზედ ლაპარაკი არ შეწყვეტილა და, რადგანაც ახალი არა ითქვა-რა, ჩვენ ლაპარაკი აღარ მოგვყავს. ხოლო ზოგიერთმა წევრმა ზედამხედველ კომიტეტს უსაყვედურა,—დღეს თქვენი განაჩენი წაგვიკითხეს, რომ ანგარიში თქვენ მიერ გაშინჯული და დამტკიცებულია და ეხლა-კი თქვენშივე განხეთქილება გამოდისო. ამაზედ თ. ავალიშვილმა უპასუხა კრებას, რომ ეგ განაჩენი ყველას თანხმობით არ არის დადგენილი: შვიდის წევრისაგან ოთხი მაგ განაჩენის თანხმაა და სამი-კი წინააღმდეგიო. გამგეობამ წარმოუდგინა კრებას თვითონ განაჩენი, რომელზედაც შვიდიდამ ექვსს წევრს თანხმობა გამოუცხადებია და მარტო ერთი თავადი ავალიშვილი წინააღმდეგი ყოფილა.

შემდეგ ყოველ ამისა თავ-მჯდომარემ გამოაცხადა, რომ ბაასი ამ საგანზედ დასრულდა და ეხლა გკითხავთ—ამტკიცებთ ამ წლიურს ანგარიშს, თუ არაო.

კრებამ მოითხოვა, რომ მინამ ამ ანგარიშის გამო თავისს აზრს იტყოდეს, ჯერ განვიხილოთ მოხსენება გამგეობისა თეატრის გადაკეთებისა და ქარვასლის შეკეთების თაობაზედაო. წაკითხულ იქმნა ის მოხსენება და, რადგანაც გვიან იყო, თავ-მჯდომარემ კრება დაითხოვა ორშაბათამდე, 16 მაისამდე.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**ქუთაისი**, 14 მაისს. ეს მეორედ გვახსოვს, რომ ქუთაისის სადგილ-მამულო ბანკის დამაარსებელთა საზოგადო კრება ასე მშვიდად და უაყალმაყალოდ გათავებულიყოს. პირველად იყო შარშან-წინ, განსვენებულის დ. ი. ყიფიანის თავ-მჯდომარეობით, და მეორეც—წელს. ბევრ ნაირად ხსნიან ამისთანა საოცარს მოვლენას ჩვენის „კრებების" ცხოვრებიდამ—ზოგი, მაგალითად, ამის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ სამეგრელოს თავად-აზნაურობამ ამ ბოლოს და ბოლოს როგორღაც გაგვიძვირა კრებებზე მობრძანებაო.

არ ვიცი, რამდენად მართალია ეს მოსაზრება, მხოლოდ ის-კი ნამდვილია, რომ ამ საპატიო ნაწილმა ჩვენის საპატიო თავად-აზნაურობისამ მართლაც გააძვირა კრებებზე სიარული.

მე-კი, როგორც წინად მოგახსენეთ, უკანასკნელ წლების ამ გვარს მშვიდობიანობას ჩვენს საზოგადო კრებებზე იმითი ვხსნი, რომ საზოგადოება დაიღალა, „პარტიობის" ინტერესები შესუსტდა და ყოველივე ეს-კი ჩვენის სიღარიბით უნდა აეხსნათ და სიღარიბით, სამწუხაროდ, ჯიბისა და არა სულისა, ან სხვა რაიმე სათნოების ნაკლებობით...

ათს ამ თვეისას დაიწყო ბანკის კრებები და თორმეტსა თუ ცამეტს დასრულდა. პირველს დღეს თავ-მჯდომარემ მოკლე სიტყვით აუწყა საზოგადოებას, რომ ჩვენც, ვითარცა დამაარსებელნი ამ ბანკისა, ვალდებულნი ვართ შევუერთდეთ მთელს ჩვენს ქვეყანას საზოგადო მწუხარებაში განსვენებულის დ. ი. ძის ყიფიანის მოულოდნელის სიკვდილის გამო ქ. სტავროპოლშიო: „მით უფრო, დაუმატა ბ-ნმა ასათიანმა: რომ განსვენებული დ. ყიფიანი იყო ერთი იმათაგანი, რომლებმაც პირველად დაჰბადეს ჩვენში აქაურ და ტფილისის სადგილ-მამულო ბანკების დაარსების აზრი". მთელმა კრებამ ფეხზე ადგომით მოისმინა ეს სიტყვა და მიანდო ზედამხედველ კომიტეტის თავ-მჯდომარეს, ბ-ნს ასათიანს, რომ სამძიმარი გამოეცხადებინა განსვენებულის ქვრივისათვის, რომელიც ამ ჟამად ქუთაისში იმყოფება.

ამის შემდეგ კრებას მოხსენდა ანგარიში წარსულის წლისა, რომელიც თითქმის ხმის ამოუღებლად დაამტკიცეს.

ამ გზობით ძველი ჩვეულება დაივიწყეს და არ განუცხადებიათ—გადავდოთ დამტკიცება ანგარიშისა, განვიხილავთო (?) და შემდეგ დავამტკიცებთო. წინად ყოველთვის ასე იქცეოდნენ, თუმცა, ღმერთო შეგცოდე, გამხილველი, ან „წამკითხველი" ანგარიშისა ისე, როგორც ყოველს ანგარიშს „წაკითხვა" უნდა, არავინ იყო. მეორე დღეს დაამტკიცეს ხარჯთ-აღრიცხვა ბანკის გამგეობისა მიმდინარე წლისათვის. ამაზე-კი ასტყდა ცოტა ბაასი და საჭირო შეიქმნა კენჭის ჩამოტარება.

მოგეხსენებათ, რომ საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით და სამინისტროს დასტურით ამ წლიდამ ბანკში მოსამსახურეთ მოესპოთ ბანკის მოგებიდამ სარგებლით ჯილდო. თავის დროზე, როდესაც ამ სარგებლის მოსპობაზე ლაპარაკი იყო, კრებამ მოითხოვა, რომ სანამ ეს ჩვენი გარდაწყვეტილება სამინისტროს მიერ დამტკიცებული არ იქნება, ბანკში მოსამსახურეთა ჯამაგირები შეუმციროთო, ხოლო როდესაც სარგებელს მოსპობენ, მაშინ ჯამაგირებიც მოეუმატოთო. ასე მოხდა კიდეც. წელს უთუოდ ამით იხელმძღვანელა ზედამხედველმა კომიტეტმა და, რადგან ამ წლიდამ, როგორც მოგახსენეთ, „დივიდენდი" მოისპო, შედარებით ცოტ-ცოტა მიუმატა ბანკში მოსამსახურეთა ჯამაგირი.

როდესაც ეს ამბავი მოხსენდა საზოგადო კრებას—წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება,—მან სამდურავი განუცხადა ზედამხედველს კომიტეტს და მიანდო, რომ რადგან ერთობ შეგიმცირებიათ ჯამაგირები და ცოტა-კი მოგიმატებიათ, ამისათვის ამ საღამოს კიდევ მოისაზრეთ და ხვალ თქვენი დასკვნა წარმოგვიდგინეთო.

მაგრამ ზედამხედველი კომიტეტი ისევ თავისს წინანდელს გარდაწყვეტილებაზე დარჩა და მეორე დღეს საზოგადო კრებამაც კომიტეტის წინანდელი ცვლილება ხარჯებისა კენჭით მიიღო.

დანარჩენი საქმეები ამ ნაირად გარდასწყდა:

1) საზოგადო კრებამ დაამტკიცა ზედამხედველის კომიტეტისაგან წარდგენილი პროექტი ინსტრუქციისა, თუ როგორ უნდა ჰმართოს ბანკის მმართველობამ დარჩენილი მამულები;

2) დაამტკიცა ხარჯთა აღრიცხვა სკოლებზე ამ მიმდინარე წლისა—სულ 27 ათას მანეთამდე. ეს ხარჯები თითქმის შეუცვლელი იყო შარშანდელ ხარჯებთან შედარებით და განსხვავებას შეადგენდა მხოლოდ სენაკის განყოფილებისათვის, რომლისათვისაც სკოლის სამზრუნველო თხოულობდა 360 მანეთამდე მიმატებას—აქედამ 60 მან. სკოლის ზედამხედველის ჯამაგირისათვის და 300 მან. სკოლის სადგომის ქირად. ორივე

ხარჯი მიიღო კრებამ შემდეგის განმარტებით: მოუმატა სკოლის ზედამხედველის ჯამაგირს 100 მან. და სახლის ქირის შესახებ მიანდო ზედამხედველს კომიტეტს თავისის შეხედულობის დაგვარად მოქცეულიყო—ე. ი. თუ ღირს მომატება, მიუმატოს, თუ არა, წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ან საკუთარის სახლის აშენებასა და ან ამავე სახლის შესყიდვაზედ;

3) გადიდეა ამ მიმდინარე წლის მოგებიდამ 6,000 მან. ხელმწიფე იმპერატორის მისაღებად, თუ ვინიცობაა მათი უდიდებულესობა წელს ინებებს ჩვენში მობრძანებას;

4) ყველა თხოვნები შემწეობის შესახებ ბანკის მოგებიდამ უყურადღებოდ დასტოვეს, სხვათა შორის, უყურადღებოდ დასტოვეს წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სკოლის თხოვნა და პატივის დებაში მიიღეს მხოლოდ თ. ვარდ. წ—ლის თხოვნა, რომელიც თავისის შვილისათვის თხოულობდა წელსაც შემწეობას. ესეც იმიტომ-რომ იმის შვილს, რომელიც მოსკოვის სამეურნეო აკადემიაში იზრდება, შარშან აღუთქვა საზოგადო კრებამ, სამის წლის ვადით, წელიწადში 360 მან. ძლევა.

მესამე დღეს, ზოგიერთის უბრალო საკითხავების გარდაწყვეტის შემდეგ, კრება შეუდგა არჩევანებს: მმართველობის წევრად ისევ ი. ა. ჯაიანი აირჩიეს ერთ-ხმად, უკენჭოდ, რადგან მოწინააღმდეგე სრულებით არავინ არა ჰყოლია; ზედამხედველის კომიტეტის წევრებად დარჩნენ ისევ თ. ან. ნ. ლორთქიფანიძე და თ. პ. გ. [illegible]აკაშიძე. ხოლო განსვენებულის დ. ი. ყიფიანის მაგიერ აირჩიეს ერთის დროს კომიტეტისვე წევრად ნამყოფი, ლ. ტ. ლოლუა. მმართველობის წევრის კანდიდატად ისევ კ. დ. ბაქრაძე დასტოვეს.

ამით დაბოლოვდა ამ წლის ბანკის დამაარსებელთა საზოგადო კრება; როგორც ზევით მოგახსენეთ, წყნარად დაიწყო და აგრეთვე წყნარად და მშვიდობიანად გათავდა, ასე წარმოიდგინეთ, ერთხლის მეტად კენჭიც არ გაუთამაშებიათ.

ქუთაისელი

---

**თელავი.** მთელს კახეთში ისეთი მშვენიერი ქარნახული ბიბინებს, რომ ადამიანის გაუმაძღარი თვალი უკეთესს ვეღარას ინატრებს; ვაზს შესანიშნავად კარგად ასხია, თაველ ამოყრილს პურსა და ქერში კაცი არ გამოჩნდება, მეტადრე გაღმა მხარში. აქა-იქ აღოყებული გამარგლილი სიმინდები ზღვასავით ლურჯად ჰღელავს და ბიბინებს. აქა-იქ-მეთქი იმიტომ ვამბობ, რომ ფეტვისა, სიმინდისა და ლობიოს დათესვა ვეღარ მოასწრეს მარტში და აპრილის საშინელმა გვალვამ ხომ სრულიად იმედი მოუსპო მთელის კახეთის მხვნელ-მთესველებს. უნუგეშონი და გულ-ხელ დაკრეფილნი შესცქეროდნენ ცას და მხოლოდ ჯეჯილის სიკეთით-ღა იბრუნებდნენ იმედს.

რადგანაც ყოველს სატანჯველს აქვს დასასრული, ბოლო მოეღო კახელების ტანჯვასაც: აღდგომა დღეს, 24 აპრილს, დასავლეთისკენ გამოჩნდა ცაზე შავი ღრუბელი, რომელსაც ნაშუადღევს მოჰყვა ჟუჟუნა წვიმა და მას აქეთ თითქმის გადაუღებლად სწვიმს. ხალხმა ზეციერ მანანად მიიჩნია წვიმა; გამოეფინენ გარეთ ბარ-თოხით, გუთნითა და სახნისით და ხელი მიჰყვეს ხვნა-თესვას. აგერ თითქმის სამი კვირაა, რაც „ოროველა“ და „გადი-გამოდი, გუთანო“ გაისმის მთელს კახეთში

**

არც ამ წვიმებმა ჩაიარეს აქეთ უუბედუროდ: აპრილის 30-ს კურდღელაურელი ოთხი გლეხის პატარა მწყემსი ბიჭი აძოვებდა ძროხებს იქვე, შალაურის ჯაგებში. როცა ძლიერ დაუშვა წვიმამ და წამოვიდა ნიაღვარი, პატარა მწყემსებმა მიაშურეს ერთს გამოქვაბულს მიწურს, საცა მრავალჯერ შეეფარებინათ წვიმის დროს თავი. ერთი მწყემსთაგანი, 14—15 წლისა, მათე მარკოზაშვილი, არ შეეშუა მომსკდარ ნიაღვარს, გამოვარდა გამოქვაბულიდგან, მოაგროვა შეშა, დაანთეს ცეცხლი და მოუსხდნენ. შემდეგ დანარჩენი სამი მწყემსიც გაგზავნა შეშაზე. გამოვიდნენ თუ არა შეშის მისატანად მათიას სამი ამხანაგი, მაშინვე დაიყვირეს: «არიქა, ჩქარა გამოდი, მიწა ინგრევა, მათიაო!..» მათიამ ყურადღებაც არ მიაქცია, რადგანაც ეგონა—შეშაზე მიპირობენ გატყუებასაო. კიდევ შესძახეს მწყემსებმა თუ არა, იხუვლა გამოქვაბულმა და საცოდავი მათია მწყემსი შიგ მოჰყვა. გაიგეს თუ არა, მოსკდა მაშინვე მთელი სოფელი, ვინ ბარით, ვინ ნიჩბებით და თოხით, საშველად, მაგრამ ვეღარა უშველეს-რა, რადგანაც საცოდავი მთლად დაემსხვრია ჩამონგრეულს მიწასა.

**

ჯერ ამ საცოდაობის ამბავი არ იყო მიწყნარებული, რომ 7-ს მაისს ზარიებით ხმა გავარდა მთელს თელავში: „ყრუ-ხევში (თელავის ზემოთ არის, ცივისკენ) თევდორე გლახას დაუტანია მიწასაო“. საცოდავი გლახა მართლა დაეტანა მიწას.

7-ს მაისს მეძროხე პატარა ბიჭებს შეენიშნათ, რომ „ყრუ-ხევში“ ის გამოქვაბული, სადაც ბეჩავი თევდორე გლახა მუდამ ღამეს ათენებდა (თევდორე გლახა სხვაგან ღამეს არ გაათევდა, თუ არ იმ გამოქვაბულში), ავდრებისაგან ჩანგრეულიყო; შეემჩნიათ აგრეთვე, რომ ჩანგრეულში რაღასაც დიდ-ძალი ბუზი ეხვეოდა და მიწაში ჩადიოდ-ამოდიოდა. მწყემსებს მაშინვე ეგრძნოთ თევდორე გლახის უბედურება. შეტყობისათანავე წავიდა ხალხი თელავიდგან და ამოიღეს მიწიდგან საცოდავი თევდორე.

მეტი არ იქნება, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ „თევდორე გლახაზე“. თევდორე გლახა თითქმის 40 წელიწადია, რაც თელავში და იმის არე-მარეში სცხოვრებდა, იმისაგან ნაწყენობა არავის მოაგონდება; ის იყო მუდამ შრომის მოყვარე გლახა და თავის დღეში არასა თხოულობდა. ვინც დაუძახებდა, თევდორე დაუჩრიდა შეშას, მიუტანდა წყალს, შეელოდა მჭედლებს ჩარხის დაბრუნებას და საბერველზე, შეელოდა გლეხებს ვენახის კეთებასა და სხლაში, თოხნასა, ყელვასა და სხვა სამუშაოებში. ამასთან გასაკვირველი ის იყო, რომ თავის დღეში შრომისათვის სასყიდელს არ აიღებდ; ის ეხმარებოდა ყველას მუქთად, მხოლოდ პურსა სჭამდა და ეს იყო იმის შრომის სამაგიერო. ხშირად შეშის დაჩეხისათვის და წყლის მოტანისათვის მიუწოდებიათ პური და ღვინო. თევდორეს ერთი ჰიქა ღვინო დაულევია და დანარჩენზე უარი უთქვამს: „მეტი არ მინდა, ახლა სხვაგან გავირჯები და იქ დავლევო“. ერთმა ვინმემ ერთხელ დაძველებული ტანისამოსი რომ შეამჩნია, ახალი პერანგი აჩუქა, მაგრამ თევდორე გლახამ არ გამოართვა: „მე ახალს არ ჩავიცვამ, ჯერ ძველიც არ გამცვეთიაო“. ამ კაცს სჭირდა ერთი ახირებული ზნე: ყოველ წამს ღუღუნებდა დაბალის ხმით—„ვაი ჩემო ნიშა ხარებო! ვაი ჩემო თეთრო კამბეჩებო?“ ხშირად ისე გაიტაცებდა „კამბეჩებზე“ ფიქრი, რომ აღარა ესმოდარა და თუ იმ დროს ჩააცივდებოდენ, რომ „შეშა დაგვიჩეხე“ ან „გვიშველეო“, თევდორე მიუგებდა: „არა მცალიან, ჩემი კამბეჩები უნდა მოვილალო, ცოდვანი არიანო“. იტყოდა ამას და ტყისაკენ წავიდოდა.

ნამდვილად არავინ იცოდა, სადაური იყო თევდორე; ზოგი-კი ამბობდა, იმერელი არისო. წლოვანებით 60—65 წლისა იქნებოდა. ამბობენ, ვითომ თევდორეს მამა ყოფილიყოს ფრიად მდიდარი გლეხ-კაცი, ყმა ერთის შეუბრალებელის მებატონე თავადისა, რომელსაც ერთხელ აუკლია თევდორეს მამის ოჯახი. თევდორე მაშინ მეხრედ ყოფილა, ეგრე 15—16 წლისა. შეუბრალებელს ბატონს წაურთმევია, სხვათა შორის, თევდორეს საყვარელი ხარ-კამბეჩიც, რომელიც თურმე თავისს თავს ერჩია პატრონს; როცა ბატონს აღარ დაუბრუნებია თევდორესათვის იმისი საყვარელი ხარ-კამბეჩი, მაშინ თევდორე ჯავრისაგან ჭკუაზე შეშლილა და გადმოხვეწილა აქეთ. და აი ორმოც წელიწადზე მეტია, რაც თელავში და იმის არე-მარეში იმყოფებოდა ეს ფრიად მშრომელი და უწყინარი „თევდორე გლახა“. გამყრელიძემ, ვოგრაჰამიაშვილმა, ვ. ბადურაშვილმა, დურგალმა რევაზ სარაჯიშვილმა და სხვებმა ითავეს თევდორეს დამარხვა; მოიწვიეს მღვდლები, გაუკეთეს მშვენიერი კუბო. დამარხვის დღეს დიდ-ძალი დაბალი ხალხი და ხელოსნობა მოგროვდა და 9 მაისს ღირსეულად დაასაფლავეს თევდორე. წინ ხალხს ბაირაღები გამოუტანა, იქვე ჰქონდათ გამართული მდიდრული ქელეხი, რომელზედაც სამოც-და-ათ კაცამდე დაესწრო და ჯამებით სვამდნენ საცოდავ თევდორე გლახის შესანდობარს. ეხლა განუზრახავთ ქვის დადებაცა.

მეთვალყურე

## წვრილი ამბავი

ამ დღეებში ლონდონში საჯაროდ გაჰყიდიან იმ სავარძელსა, რომელზედაც მჯდარა შექსპირი, როცა რამდენიმე თავისი დრამატიული თხზულება დაუწერია.

— ამ ბოლოს დროს ისე კვირამ არ გაიაროს, რომ რომელმამე ინგლისელმა კეთილშობილმა თავისს სიმდიდრეს, თავისს დიდ-კაცობას სულ უბრალო სამუშაო არ ამჯობინოს. ჩვენ არა ერთხელ გვქონია ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამისთანა ამბავი, როგორც ისეთი, რომ ლორდი მეჯინიბობასა კისრულობს, ყასბობას, სირაჯობასა და სხვანი. ამისთანა ერთის წოდებიდგან მეორე წოდებაში გადასვლა ხშირია აგრეთვე ინგლისის კეთილშობილთა მანდილოსანთა შორის. მაგალითებრ, ამას წინად ლონდონში ქალების ტანისამოსის მაღაზია გაუღია [illegible] ლედი ელლის ძმისწულს. რაღა თქმა უნდა, ამ მაღაზიაში დიდის მთელი მაღალი საზოგადოება ლონდონისა და «Madame Victoire»-ს ვაჭრობა ძალიან გაჩაღებულია. ამასთან საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ მაღაზიის გაღების დროს ვიქტორიას წვეულება გაუმართავს და მიპატიჟებულნი ჰყოლია თითქმის ყველა კეთილშობილნი.

— წრეულს მიუნხენში ორი გამოფენა გაიმართება: გერმანიის ეროვნული სამრეწველო გამოფენა და საერთაშორისო გამოფენა ხელოვნებისა. ამის გამო მიუნხენის მწერალთა განუზრახავთ გაჰმართონ კრება საერთაშორისო მწერლებისა, გერმანიისა და საზღვარ-გარეთისაცა. ეს კრება დაიწყება 15 ივლისიდგან 19-მდე ახ. სტ. და სხვათა შორის ლაპარაკი ექმნება იმის თაობაზედაც, თუ როგორ მოვახერხოთ, რომ რაც შეიძლება მეტი დამოკიდებულება ჰქონდეთ ერთმანეთში სხვა-და-სხვა სახელმწიფოთა ჟურნალისტებსაო.

— ვაშინგტონის სენატის ერთს უკანასკნელს კრებათაგანზე შემდეგი ამბავი მომხდარა. კრების დაწყების დროს დარბაზში შესულა სენატორი პალმერი, რომელსაც თავზედ წამოსხმული ჰქონია ფერადის აბრეშუმით ნაქარგი საბანი. დაუნახავთ თუ არა პატივცემული სენატორი ამ მასხარულს მორთულობაში, რა თქმა უნდა, ჯერ ყველა გაოცებია, შემდეგ გაუღიმნიათ და ბოლოს თავი ვეღარ შეუკავებიათ, ხარხარი დაუწყიათ. სენატორი პალმერი-კი სრულიად არ შეკრთალა ამ ხარხარზედ, პირ-იქით, მშვიდობიანად იდგა თურმე და ელოდა, ვიდრე გაათავებენ ღრეჭასაო. როცა კრება დაწყნარებულა, პალმერს გამოუცხადებია, რომ ეს საბანი ქალებმა მომცეს, ლატარია უნდა გაჰმართონ საქველმოქმედო აზრით, ლატარიაში საბანი უნდა ჩაავდონ და მთხოვეს, რომ მოახერხეთ როგორმე და ყველა თქვენს ამხანაგს საბნის სხვა-და-სხვა ფერ ნაჭრებზედ ხელი მოაწერინეთ, რათა ამ გვარად საბნის ფასმა ხალხის თვალში ერთი სამად იმატოსო. აი სწორედ ეს გახლავსთ მიზეზი, რომ დღეს ასეთის ახირებულის სამოსელით გიახელითო. რაღა თქმა უნდა, რომ ყველას ძალიან შერცხვენიათ თავიანთის უადგილო სიცილისათვის და დიდის სიამოვნებით მოუწერიათ თავ-თავისი გვარი საბნის ცალკ-ცალკე ნაჭრებზედ.

— გრაცის ოლქის სასამართლოში არჩევენ თურმე საქმეს ვიღაც ფრანც გირრესს, რომელსაც, არც მეტი და არც ნაკლები, 1,600 ავაზაკობა ჩაუდენია.

— ამ დღეებში გაურჩევიათ ბერლინში საქმე ვიღაც დავით ბიბულასი, ბლომანად წოდებულისა, რომელიც საერთაშორისო ჯიბგირების წრეს ეკუთვნის თურმე. ეს ვაჟბატონი ბერლინში გერმანიის გარდაცვალებულ იმპერატორის დამარხვის დროს მიბრძანებულა, რათა თავისი ხელოვნება ჯიბეთა ჩხრეკისა და მიპარვისა შესაფერად გამოეჩინა. დამნაშავე ამბობდა თურმე, რომ რუსეთის ქვეშევრდომი ვარო, ლაპარაკობდა რამდენსამე ენაზედ და არა ერთხელა ყოფილა დაპატიმრებული ჯიბგირობისათვის. იმპერატორის დასაფლავების დღეს ეს კაცი უნახავთ ცნობილ გერმანელ ჯიბგირ ზილბერშტეინთან ერთად და მაშინვე დაუპატიმრებიათ, რაკი პოლიციაში ვიღაცა ვაჭარს გამოუცხადებია, რომ ჯიბიდგან საათი ამომაცალესო. ამ ქურდს ზემოხსენებულ დაკარგულ საათის გარდა აღმოსჩენია რამდენიმე კიდევ სხვა საათი, ორი ქისა და ორიც მენდალი, იმპერატორის ვილჰელმის მიერ ბოძებული ვილისთვისაც თავისს სასხოვრად. ამასთან აღმოჩენილა, რომ ბიბულას საფრანგეთის პოლიციაც დაეძებს თურმე. ამ ავაზაკისათვის ექვსის თვით დაპატიმრება გადაუწყვეტიათ.

— ბაზელშიაც ჩქარა გაარჩევს სასამართლო მესამე საქმეს, რომელიც შეცდომით მოსვლია ჩამდენს და ძალიან დაუშავებია, თუმცა ავაზაკობად არ ჩაითვლება ეს სასაცილო შეცდომა. ერთს ცნობილს ქიმს მიუცია იაზურის მესტამბისათვის დასაბეჭდად თავისი წიგნაკი—«სათაკვსო ჭიგიენა: რჩევანი და დარიგებანი ახალგაზრდა დედათათვის». ამავე დროს ამ მესტამბისათვის მიუნდვიათ დაბეჭდვა „თესლეულობის კატალოგისა“. ეს ორივე წიგნი დაუბეჭდიათ ერთსა და იმავე გვარ ქაღალდზედ, ერთ ნაირის ზომისა და ერთ გვარის ასოებით. როცა ეს ორივე წიგნი მეუდისათვის მიუციათ, იმას გადურევია, აჩქარებულა, ორივე წიგნის ავინძა ერთად დაუწყია და ამიტომ შეცდომით ერთის წიგნის ფურცლები მეორეში მოუქცევია და მეორისა—პირველში. ამის გამო წიგნებში ასეთი ადგილები იპოვება თურმე: «ხასვის მოსაყვანად... საჭიროა მოიწვიონ ჯან-მრთელი ძიძა, შავგვრემანი, ასე რომ სულ ოც-და-ორის, ოც-და-სამის წლისა იყოს... ან კიდევ: სტაფილო, ნიორი, გოგრა და სხვანი... არიან უდღეო ყმაწვილნი და ამიტომ დიდი მოვლა და ზრუნვა ეჭირვებათ»... რაღა თქმა უნდა, რომ ამ წიგნებს საზოგადოებაში დიდი სიცილი და ხარხარი გამოუწვევია. ამ წიგნების პატრონნი, რომელთაც მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ შეუტყვიათ ეს ამბავი, ძალიან გამწყრალან სტამბის პატრონზე და უჩივლიათ. ქიმი 32,000 მანათზე მეტს ედავება სტამბის პატრონსა და სხვა-და-სხვა თესლეულობით მოვაჭრე-კი 18,000 მანათზე მეტსა.

## გასართობი

ერთის გაზეთის გამომცემელს ძალიან ახირებული საშუალება მოუხმარია, რომ თავისი გაზეთი უფრო გაავრცელოს და ბევრი ხელის-მომწერი მოუპოვოს. საქმე იმაში გახლავსთ, რომ ამ გაზეთის გამომცემელს ერთს მშვენიერს დღეს თავისს გაზეთში საჯაროდ გამოუცხადებია: ვინიცობაა რაიმე უბედურება დაემართოს რკინის გზის მატარებელს, 100 თუმანს მივცემ ოჯახს ამ უბედურების დროს დაშავებულის მგზავრისას, თუ ამ მგზავრს ჯიბეში აღმოაჩნდება ჩვენის გაზეთის ახალი ნომერიო. ასე რომ მგზავრმა სულ სამი შაური უნდა გადაიხადოს—ამ ფულით გზაზედ თავსაც გაირთობს კითხვაში და ამას გარდა იმის ცოლსაც საცხოვრებელი ფული მიეცემა, თუ უბედურება დაემართა რამე. რა თქმა უნდა, რომ ასეთმა მოხერხებულმა დაზღვევამ ადამიანის სიცოცხლისამ ძალიან იმოქმედა თურმე გაზეთის გავრცელებაზედ და თითქმის ყველანი ჰყიდულობდნენ, ვინც-კი რკინის გზით სადმე გამგზავრებას აპირობდა. ამავე დროს ლაპარაკი დაუწყიათ იმის შესახებ, რომ კანონიერია თუ არა ასეთი საქციელი რედაქტორისა, ნება აქვს, რომ გაზეთი ადამიანის სიცოცხლის დამზღვეველ საზოგადოებად გარდააქციოსო? ასე უკითხავთ ქვედა პალატაში ერთის მინისტრისათვის. მინისტრს უპასუხნია, რომ მაგ საკითხავზედ აგრე ჩქარა პასუხს ვერ მოგცემთ, რადგან ეგ საქმე ახალია, მაგისთანა ჯერ არა მომხდარა-რა გამომცემელისაგან გამოგონილი საშუალება გაზეთის გავრცელებისათვის ისე თავისებურია, რომ ეს საკითხავი უნდა რიგიანად განვსაჯო, ვიდრე რაიმე აზრს წარმოვსთქვამდეო. რკინის გზები საზღვარ-გარეთ ძალიან ნაკლებადა ჰხოცვენ ხალხსა, არ გვანან ჩვენს რკინის გზებს ასე რომ იქნება ბევრმა წელიწადმა გაირბინოს, ვიდრე ამ გამომცემელს გაზეთისას დაპირებულს საჩუქარს მოსთხოვენ და ამ დროს განმავლობაში-კი ჩაიჯიბავს მოხერხებული კაცი სამ-

სამ შაურს ყოველს ნომერზე, იმათაც-კი აყიდვინებს გაზეთს, რომელთაც სულ არ უნდოდათ, და იქნება დაპირებული ფული ერთი-ორად ამოიღოს კიდეც! მოდი და ნუ იტყვი, რომ

ხერხი სჯობია ღონესა,
თუ კაცი მოიგონებსა!

**

მოდი და ნუ გაიკვირვებ, ქურდებშიაც ყოფილან სინიდისიანი კაცები. აი ერთს ამ გვარს პატიოსანს ქურდზე რას მოგვითხრობენ ბერლინის გაზეთები. ერთის მდიდარ და შეძლებულ მოვაჭრის საქმეების გამგესაგან, თეატრიდგან გამოსვლის დროს, ამ რამდენისამე დღის წინად, ჯიბიდგან ამოუცლია 9,000 მანათი ნაღდ ფულად, ბათილამებად და ამ ფულთანავე ქურდს წაუღია აგრეთვე სხვა საბუთის ქაღალდებიცა, რომელიც ძალიან ძვირად ულირდა თურმე დამკარგველს. საწყალი გაქურდული სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი და არ იცოდა, რა ექნა. უეცრად მეორე დღეს, დილა ადრიანად, ბიჭმა მიაჩეჩა ხელში პაკეთი, რომელშიაც არამც თუ მის მიერ დაკარგული საბუთის ქაღალდები და ბათილამები იყო, არამედ ყველა ნაღდი ფულიცა, გროშ-დაუკლებლად, და ქისაც—წარმოიდგინეთ!—ქისაც-კი. ამ დაბრუნებულს ქაღალდებთან ყოფილა წერილიცა, რომელიც შემდეგს შეიცავდა თურმე: „დიდად პატივცემულო, ბ-ნო N! ჩვენ როდისღაც ერთმანეთის ისეთი მეგობრები ვიყავით, რომ „ჩვენ“-ს მაგივრად ლაპარაკში ერთმანეთს „შენს“ ვეძახდით. ამ დრომ გაიარა, გაირბინა დაუბრუნებლად. თქვენ გეხსომებათ, როგორ ვოცნებობდით ახალგაზდობისას ბედნიერად და ტკბილად ცხოვრებაზედ. თქვენ, როგორც ვხედავ, აგსრულებიათ ოცნება და ბედნიერნი ხართ; მე-კი, ჩემისავე დიდებულების მეოხებით, ისე დაბლა დავეცი, რომ გაგქურდეთ კიდეცა. მე მხოლოდ შემდეგში შევიტყე, მაშინ, როცა თქვენი საბუთის ქაღალდები გადავათვალიერე და გადავსინჯე, რომ თქვენ გამიქურდნიხართ, თქვენ გამხდარხართ ჩემის ავაზაკობის სხვერპლი. გიბრუნებთ ყველაფერს უნაკლულოდ, რადგან არ მინდა იმოდენად უპატიოსნო და ულირსი ვიყო, რომ მეგობარიც-კი გავქურდო, გავალატაკო, გავაუბედურო. იცოდეთ, საყვარელო რაულ, რომ მე თქვენ არასოდეს არ დამვიწყებიხართ; გთხოვთ, ნუ დამიწყებთ ძებნას, რადგან ჩემი გაადამიანება, პატიოსანს გზაზედ დაბრუნება ყოვლად შეუძლებელია. მშვიდობით იყავით და აპატიეთ დანაშაული თქვენს გზა დაბნეულს მეგობარსა“.

◆◆

# დეპეშა

16 მაისი

პეტერბურგი. გუშინ საღამოს გენერალი ადიუტანტი გრაფ იგნატიევი წავიდა კიევში.

„С.-Петерб. Вѣдом.“-ი იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა გაიმართოს მეურნეობისა და მეოჯახობის სკოლა ბერდიჩევის მაზრაში, კაზატინის სადგურის მახლობლად. სკოლა სამინისტროს უწყებისა იქნება. სამის წლის განმავლობაში სკოლას უნდა ეძლიოს 1,500 მანეთი.

იმავე გაზეთის სიტყვით, დონისაკენ ბევრი გერმანიელი აგენტი წასულა. ამ აგენტებმა უნდა იყიდონ მაღალის ღირსების თამბაქოს მომავალი მოსავალი და გერმანიაში უნდა გაიტანონ.

„Новости“ გვაცნობებს, რომ სახელმწიფო საბჭომ განიხილა პროექტი იმის შესახებ, თუ რა წესით და რიგით უნდა გაიყიდოს სააზნაურო ბანკებში დაგირავებული მამულებიო.

ჰელსინგფორსი. სეიმმა დაადგინა, რომ შეტანილი იქმნას სისხლის სამართლის ახალს კანონებში სიკვდილით დასჯა კაცის მოკვლისათვის.

სამარყანდი. გუშინ დაიწყეს სიარული ხალხისა და საქონლის მატარებლებმა სამარყანდიდგან ჩარჯუიამდე და სხვა ადგილებამდე.

ბერლინი. სამეფო თეატრის შეკეთების დროს ჩამოწვა სახურავი, რომელსაც ქვეშ მოჰყვა 44 კაცი. ამათგან 26 უკვე გადაურჩენიათ, 5-კი ძლიერ დაშავებულია. ეხლა სხვებს ეძებენ.

ათინა. აქ ძლიერი შეტაკება მოხდა მუშა ბერძნებსა და მუშა იტალიელებს შორის. 30 კაცზე მეტი მოუკლავთ და დაუჭრიათ.

ბარცელონა. აქ მოსულმა რუსეთის სამხედრო გემებმა გუშინ იდღესასწაულეს მათ უმაღლესობათა გეორგეინის კურთხევის დღე. გემებმა წესისამებრ სროლა გამართეს და სხვა უცხოელ გემებმაც სალამი გადაუხადეს.

ბერლინი. თავადი ბისმარკი გუშინ საღამოს ჩამოვიდა ბერლინში.

პარიჟი. გუშინ ძლიერი შეტაკება მოხდა ანარხისტებსა და ბულანჟისტებს შორის „Pere-la-Chaise“-ის სასაფლაოზე. დაჭრილია დამბაჩით ორი ანარხისტი.

მარსელი. აქ მოვიდნენ მომხრენი იტალიისა და საფრანგეთის კავშირისა: რედაქტორი რომის გაზეთ „Emanciparione“-ისა ალბანი და წარმომადგენელნი იტალიის დემოკრატიისა. მიგებების დროს ხალხი იძახოდა: „გაუმარჯოს საფრანგეთს, გაუმარჯოს იტალიასაო!“ ალბანიმ სიტყვა სთქვა. ამ სიტყვის აზრი ის იყო, რომ იტალიისა და გერმანიის კავშირი წინააღმდეგია ჩვენის ეროვნულის გრძნობისა, რადგანაც იტალიამ უნდა დაიბრუნოს ტრიესტი და ტრიენტიო. ხალხმა ძალიან მოიწონა ალბანის სიტყვა და ტაშის დაკვრით დააჯილდოვა ორატორი.

პეტერბურგის ბირჟა, 13 მაისი

| | მყიდველნი. მან. კ. | გამყიდველნი. მან. კ. | გაყიდულნი. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | — „ | 9 55 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 190½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 40 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — „ | — „ | 272½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 243¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1888 წლის ზედ-ნადებია—25.

მაისი 31 დღით არის.

18 დღე ოთხშაბათი. წამებ. ფეოდოტისა, კლავდიასი და იულიასი. კათოლ. ფელიქსესი. მუსულ. მე-20 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—27. მთვარე 20 დღისაა.

19 დღე ხუთშაბათი. ღირსისა ეგნატესი და პეტრიკიასი. კათოლ. ცელესტინასი. მუსულ. მე-21 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—დედოფალ დარიას გავლენით ქართლი გაინაწილეს ბატონიშვილებმა ერთმანეთში, 1793 წ.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—28, ჩადის 7—28. მთვარე 21 დღისაა.

20 დღე პარასკევი. ღირსისა დოდო გარესჯელისა. კათოლ. ბერნარდინასი. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 22 დღისაა.

21 დღე შაბათი. მოციქულთა სწორისა მეფე კონსტანტინესი და ელენესი. კათოლ. ვიქტორიასი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—29. მთვარე 23 დღისაა.

22 დღე კვირა. წამება ვასილისკასი. კათოლ. იულიასი და ელენესი. სომეხ. წმ. ჯვარის გამოჩენა იერუსალიმში. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—57. ტფილისში მზე ამოდის 4—27, ჩადის 7—30. მთვარე 24 დღისაა.

23 დღე ორშაბათი. ღირსისა მიხეილისა და ევფროსინესი. კათოლ. ფრესცენციასი. მუსულ. მე-25 რიცხვი თთვისა რამაზანისა, 1305 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუა-დღე 11—58. ტფილისში მზე ამოდის 4—26, ჩადის 7—30. მთვარე 25 დღისაა.

---

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მაისიდამ 16 მაისამდე

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3 | » |
| „ 2 „ | 2½ | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 3½ | „ |
| „ „ 3 „ | 3 | |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | „ |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| ძროხის ხორცი . . . | 9 | „ |
| „ 2 „ | 8 | „ |
| სუკი . . . . | 16 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 10 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

# განცხადებანი

ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მმართველობა ამით აცხადებს, რომ ოც-და-მეექვსე (XXVI) ტირაჟში, რომელიც მოხდა 20 აპრილს ამ 1888 წლისას, გამოვიდა შემდეგი ნომრები ამ ბანკის გირავნობის ფურცელთა.

1) გირავნობის ფურცელნი ძველის კატეგორიისა:

18 წლისა და 7 თთვის ვადით

I სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 68, 56 და 55.

27½ წლის ვადით

II სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 88.

III სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 70.
500 მან. ღირსებისა № 115.
100 მან. ღირსებისა №№ 162, 74 და 123.

IV სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 18.

V სერიისა

500 მან. ღირსებისა № 48.

VI სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 46.

VIII სერიისა

500 მან. ღირსებისა № 1.
100 მან. ღირსებისა №№ 47 და 122.

X სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 110.

XI სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 63, 134 და 40.

43½ წლის ვადით

VI სერიისა

100 მან. ღირსებისა № 21.

VII სერიისა

100 მან. ღირსებისა № 187.

VIII სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 177, 182 და 204.

IX სერიისა

500 მან. ღირსებისა № 2.

X სერიისა

500 მან. ღირსებისა № 1.

XI სერიისა

100 მან. ღირსებისა № 149.

54½ წლის ვადით

I სერიისა

100 მან. ღირსებისა № 2.

II სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 59 და 26.

III სერიისა

500 მან. ღირსებისა № 38.

V სერიისა

500 მან. ღირსებისა № 151.

2) გირავნობის ფურცელნი, ურთიერთობრივის თავდებობით გამოცემულნი:

27½ წლის ვადით

I სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 16, 198, 283 და 157.
500 მან. ღირსებისა № 25.

II სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 852, 748, 122, 631, 60, 205, 43, 558 და 815
500 მან. ღირსებისა № 1.
100 მან. ღირსებისა №№ 335, 347, 422 და 259.

III სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 82.
100 მან. ღირსებისა №№ 22, 35, 103 და 91.

IV სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 49 და 89.
500 მან. ღირსებისა № 27.
100 მან. ღირსებისა № 87.

V სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 295, 342 და 305.
100 მან. ღირსებისა №№ 2, 62 და 126.

VI სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 48.
100 მან. ღირსებისა №№ 69 და 27.

VII სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 276, 307 და 299.
100 მან. ღირსებისა №№ 277, 57, 123 და 180.

VIII სერიისა

500 მან. ღირსებისა № 12.
100 მან. ღირსებისა № 43.

IX სერიისა

500 მან. ღირსებისა № 31.
100 მან. ღირსებისა №№ 3, 41 და 40.

X სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 8

XI სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 120 და 118.
100 მან. ღირსებისა №№ 13, 49, 33 და 28.

XII სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 158 და 223.

XIII სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 56.

XIV სერიისა

1000 მან. ღირსებისა №№ 68 და 60.
500 მან. ღირსებისა № 25.
100 მან. ღირსებისა №№ 102 და 83.

43½ წლის ვადით

I სერიისა

500 მან. ღირსებისა № 15.
100 მან. ღირსებისა №№ 7 და 45.

II სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 2, 3, 4 და 7.

III სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 26, 93, 38 და 118.

IV სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 22, 54 და 7.

V სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 145, 50, 35 და 103.

VI სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 89 და 68.

VII სერიისა

500 მან. ღირსებისა № 3.

VIII სერიისა

1000 მან. ღირსებისა № 243.
100 მან. ღირსებისა №№ 144 და 160.

IX სერიისა

100 მან. ღირსებისა № 40.

X სერიისა

100 მან. ღირსებისა № 25.

XI სერიისა

500 მან. ღირსებისა № 2.

XIII სერიისა

100 მან. ღირსებისა №№ 6 და 119.

XIV სერიისა

100 მან. ღირსებისა № 7.

---

წლიური საერთო კრება «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე-11 §-ისა, დანიშნულია ამ წლის 20 მაისს, საღამოს 8 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა) ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1887 წელს;

ბ) მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვაზე 1888 წლისათვის;

გ) არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა;

დ) არჩევანი საზოგადოების თავმჯდომარისა და წევრებისა.

ე) მოხსენება გამგეობისა, რომ ანგარიშისათვის მიღებულ იქმნას სამოსწავლო წელიწადი სექტემბრიდგან სექტემბრამდე და საზოგადო კრება მოხდეს ხოლმე ოქტომბრის განმავლობაში. (5—5)

---

იყიდება ქალაქ ქუთაისში, ჭილაძისა და მურადოვის მაღაზიაში, წიგნი

## არჩილიანი

ანუ

მეფე თეიმურაზ პირველის ცხოვრება, ისტორიული პოემა და სხვა ლექსები, თქმულნი მეფე არჩილ მეორეს მიერ. (3—3)

Доз. ценз. Тифлисъ, 17-го мая 1888 года. Типографія „Кавк. Обозр.“ (Н. И. Френкель) რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე